ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

განკარგულება:**გ-67. 67230554**

თარიღი:**24/02/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი წითელხევი), სოფელ წითელხევში 44-ე ქუჩისათვის "მამა გაბრიელის" სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" საქართველოს კანონის 63- მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად და „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროსი მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების (ამონაწერის სხდომის ოქმის N35) საფუძველზე,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის ქუჩების სახელდების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების გადანომრის შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N130 განკარგულებაში და ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი წითელხევი), სოფელ წითელხევში მდებარე 44-ე ქუჩას მიენიჭოს „მამა გაბრიელის" სახელი (ქუჩის რუკა თან ერთვის).

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ 4 თვის ვადაში უზრუნველყოს განკარგულების შესასრულებლად კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების და სხვა, დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვა).

3. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულს (შემდგომში-საკრებულოს აპარატს), განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გადაუგზავნოს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

4. საკრებულოს აპარატმა, საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს განკარგულების გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N 11) ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ გიორგიძე

გამოყენებულია კვალიფიციური